საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2018 წლის 14 მაისი**

დისციპლინური საქმე №137/17
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 02 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 20 აპრილის №137/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2000 წელს შეიძინა -- -- მიწის ნაკვეთი, სადაც 2001 წელს ააშენა ბოქსები და სასადილო, რაც მოქმედებს 2006 წლიდან. 2016 წლის აპრილის თვეში მასთან მივიდა პირი, რომელმაც უთხრა, რომ აუქციონის გზით შეიძინა მის მიერ აშენებული შენობა, სადაც განთავსებული იყო სასადილო. ამის შემდგომ, მან მიმართა სასამართლოს, წარადგინა სამხარაულის დასკვნა და მოითხოვა აუქციონის ბათილობა. საჩივრის ავტორის თქმით, მოსამართლე -- -- მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება. ამის შემდგომ, მან კიდევ ერთხელ მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, საიდან მიღებული დასკვნითაც, სადავოდ გამხდარი შენობა იყო მის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთის საზღვრებში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსამართლე -- -- სრულიად უსაფუძვლოდ შეწყვიტა საქმისწარმოება. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოსამართლის ამგვარი გადაწყვეტილება უსამართლოა, რადგან მისი ამ გადაწყვეტილებით ვერ მიაღწია სიმართლეს და ართმევენ თავის აშენებულ შენობას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2016 წლის 27 აპრილს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა -- -- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რის საფუძველზეც, მის მიერ 2000 წელს შეძენილ მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა (ლუდის ბარი) აუქციონის წესით გასხვისდა სხვაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 28 თებერვლის

გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

-- სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების პარალელურად, -- -- 2017 წლის 24 მაისს სარჩელით კვლავ მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - -- --, მესამე პირების - -- --, -- -- მიმართ და მოითხოვა -- -- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება. ამასთან, მოსარჩელემ წარადგინა -- -- დასკვნა, როგორც საქმისთვის ახალი გარემოება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით, -- -- სარჩელზე შეწყდა საქმისწარმოება დაუშვებლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი სასამართლოში აღძრული იყო გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2016 წლის 27 აპრილს აღძრულ სარჩელზე, რითაც იგი ითხოვდა 2012 წელს გამოცემულ იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას, რასაც იგი ასაჩივრებდა 2017 წლის 24 მაისის სარჩელით. სასამართლომ ჩათვალა, რომ მინიმუმ 2016 წლის 27 აპრილს მოსარჩელისთვის ცნობილი და ჩაბარებული იყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, სარჩელი კი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში აღძრული იყო 2017 წლის 24 მაისს.

-- -- 2017 წლის 25 სექტემბერს გაასაჩივრა 2017 წლის 31 ივლისის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რაც -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი, კერძოდ, მოსარჩელისათვის ჯერ კიდევ 2016 წლის 27 აპრილს ანუ -- სასამართლოში სარჩელის წარდგენის დროისთვის ხელმისაწვდომი იყო სადავო აქტები, რამდენადაც აქტები თან ახლდა სასამართლოში მის მიერვე წარდგენილ სარჩელს. ამასთან, საექსპერტო დასკვნასთან დაკავშირებით განიმარტა, რომ აღნიშნული შეიძლება იქცეს წარმოების განახლების საფუძვლად და არა სარჩელის დასაშვებობის წინაპირობად.

ზემოთჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებების პარალელურად, მიმდინარე პერიოდისთვის, -- -- 2016 წლის 27 აპრილს აღძრულ სარჩელზე -- სააპელაციო სასამართლოში გრძელდება განხილვები.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2017 წლის 02 აგვისტოს №137 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

ზემოაღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ -- -- 2017 წლის 24 მაისის სარჩელის დასაშვებობის საფუძველი ვერ გახდებოდა -- -- დასკვნა, როგორც საქმისთვის ახალი გარემოება, ვინაიდან, სარჩელის სასამართლოში წარდგენის დროისათვის გასული იყო გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა. -- -- 2016 წლის 27 აპრილს აღძრულ სარჩელზე დღემდე გრძელდება -- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ გამოიკვეთა 2017 წლის 02 აგვისტოს №137 საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. ამ ვარაუდის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული

კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №137/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი